ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს სხდომის
ოქმი № 29

2009 წლის 8 აპრილი **ქ. თბილისი**

დღის წესრიგი:

1. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №58 დადგენილების საფუძველზე სსიპ - ზოოლოგიის ინსტიტუტის, სსიპ- ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მიერთების შესახებ განსახორციელებელი გეგმის შემუშავება და სტატუსის განსაზღვრა.

2. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009 წლის ბიუჯეტში ცვლილებების განხილვა სსიპ ზოოლოგის ინსტიტუტის შემოერთებასთან დაკავშირებით.

3. უცხო ენათა ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ნინო ფირცხალავას წარდგინების განხილვა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებით.

4. მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე დეკანის მოვალეობის შემსრულებლად ლელა ხომერიკის დანიშვნის საკითხის განხილვა.

5. ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის პროფესორ დავით თარხნიშვილის წარდგინების განხილვა ფაკულტეტის დებულებაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

6. ცვლილება ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესში.

7. ცვლილება ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სტანდარტში.

8. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესიული პროგრამების დამტკიცება: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების უმაღლესი პროფესიული პროგრამები.

9. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შენიშვნების განხილვა უნივერსიტეტის წესდების მე-5[1] მუხლის პროექტთან დაკავშირებით;

10. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2008 წლის 4 აპრილის სხდომაზე მიღებული "უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების და კრედიტების მინიჭების წესში" ცვლილებების შეტანის შესახებ.

11. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის წიგნის მაღაზიის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმის საწარმოდ დაფუძნება და წესდების დამტკიცება.

12. უნივერსიტეტის სასადილოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმის საწარმოდ დაფუძნება და წესდების დამტკიცება.

13. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული სეისმური მონიტორინგის ცენტრის არაკომერციულ იურიდიულ პირად დაფუძნების საკითხის განხილვა.

14 . უნივერსიტეტის ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის არაკომერციულ იურიდიულ პირად დაფუძნების საკითხის განხილვა.

15. უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული თეატრალური ხელოვნების ცენტრის არაკომერციულ იურიდიულ პირად ჩამოყალიბების საკითხის განხილვა.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე
2. შუქია აფრიდონიძე - სხდომის მდივანი
3. მზია ბაქრაძე
4. ნათელა იმედაძე
5. გიორგი ნახუცრიშვილი
6. აივენგო შათირიშვილი
7. ჯუანშერ ჩქარეული

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

2009 წლის 8 აპრილის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №58 დადგენილებით, უნივერსიტეტისათვის შემოერთებული ზოოლოგიის ინსტიტუტი ჩამოყალიბდეს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულად და ეწოდოს ”ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტი.” საკითხი გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.
2. დაიწყოს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტის არაკომერციულ იურიდიულ პირად – ზოოლოგიის ინსტიტუტად ჩამოყალიბების პროცესი. დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს არაკომერციულ იურიდიულ პირად რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტების მომზადება.

3. დაიწყოს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული სეისმური მონიტორინგის ცენტრის არაკომერციულ იურიდიულ პირად – სეისმური მონიტორინგის ცენტრად ჩამოყალიბების პროცესი. დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს არაკომერციულ იურიდიულ პირად რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტების მომზადება.
4. დაიწყოს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის არაკომერციულ იურიდიულ პირად – ევგენი ხარაძის ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიად რეგისტრაციის პროცესი. დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს არაკომერციულ იურიდიულ პირად რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტების მომზადება.
5. დაიწყოს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული თეატრალური ხელოვნების ცენტრის ნაწილის ჩამოყალიბება არაკომერციულ იურიდიულ პირად – უნივერსიტეტის თეატრად რეგისტრაციის პროცესი. დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს არაკომერციულ იურიდიულ პირად რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტების მომზადება.
6. დამტკიცდეს 2009 წლის ბიუჯეტში ცვლილებები და წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად.
7. დამტკიცდეს 2008/2009 წლის უცხო ენათა ფილოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია შემდეგი სახით:

ა)ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ანგლისტიკა/ამერიკანისტიკაში;
ბ) ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი გერმანისტიკაში;
გ) ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი რომანისტიკაში.

8. დაინიშნოს ლელა ხომერიკი დეკანის მოვალეობის შემსრულებლად მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე.

9. დამტკიცდეს ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დებულება და ფაკულტეტის დებულებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ: 1. ამოღებულ იქნეს ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებიდან მე-7 და მე-8 მუხლები; 2. დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. მისი ფუნქციები და უფლებამოსილება განსაზღვრულია სადისერტაციო საბჭოს დებულებითა და ფაკულტეტის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დებულებით.”

ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დებულება და საკითხი ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

10. დამტკიცდეს ცვლილებები ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესში დანართი №-7-ის გათვალისწინებით და გადაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.
11. დამტკიცდეს ცვლილებები დოქტორანტურის სტანდარტში დანართი №8-ის გათვალისწინებით.
12. დამტკიცდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების ხუთი უმაღლესი პროფესიული პროგრამა: ა) ძეგლთა დაცვა და რეაბილიტაცია (ნაგებობი,ხატწერა, ქვის, და ლითონის დამუშავება); ბ) მონუმენტური მოხატვა, კერამიკა და ვიტრაჟი; გ) ტანსაცმლისა, ფეხსაცმლისა და ქსოვილის დიზაინი; დ) საიუველირო ხელოვნება (ოქრომჭედლობა და მინანქარი); ე) კომპიუტერული დიზინი და გრაფიკა.

13. უნივერსიტეტის წესდებას დაემატოს მე-5[1] მუხლი დანართი №10-ის გათვალისწინებით.

14. დამტკიცდეს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 4 აპრილის სხდომაზე მიღებული ”უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების და კრედიტების მინიჭების წესში” ცვლილებები და დაემატოს მე-10[2] მუხლი შემდეგი რედაქციით:

”მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის ინგლისური ენის ცენტრის სტუდენტებისათვის, მიუხედავად დავალიანების სახით დაგროვებული კრედიტების რაოდენობისა, პროგრამით გათვალისწინებული კურსის ხელახლა გასავლელად თითოეული კრედიტის ღირებულება განისაზღვროს 25(ოცდახუთი) ლარით”.

15. მიღებულ იქნეს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული წიგნის მაღაზიის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად დაფუძნების საკითხი და ეწოდოს შ.პ.ს. ”ლიგამუსი”. ამასთანავე, დამტკიცდეს წიგნის მაღაზიის წესდება და საკითხი წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

16. მიღებულ იქნეს უნივერსიტეტის სასადილოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმის საწარმოდ დაფუძნების საკითხი და ეწოდოს შ.პ.ს ”უნი-ფუდი”, ამასთანავე, დამტკიცდეს შპს ”უნი-ფუდის” წესდება და საკითხი წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

17. დაევალოს ადმინისტრაციას აკადემიური პერსონალისთვის დაამზადოს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის დამადასტურებელი მოწმობები.

სხდომის თავმჯდომარე:

გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი:

შუქია აფრიდონიძე